№ 116. 6 ივნისი, ქვირა. 1866—1882 6 ივნისი, ქვირა. № 116.

რედაქცია

კალაგანის ბრიბუქტზე ო. ივ. მ-ეზრანიკის ხახლეს-ბალეს ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროებაში“ რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის (გერასიმის) წიგნის მაღაზიაში. კარეშე ხელის-მოწერეთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“.

„დროების“ ფასი:

სრულის წლისა	9 მან.	ნახევარ თვისა	3 მან.
ნახევარ თვისა	5 მან.	ერთის თვისა	1 მან.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათის გარდა

ფასი განცხადებისა

დიდის ასოებით, ერთზე 1 კაპ. [illegible] ერთზე ნახევარი კაპ., ნაკლებ-ნახევარ ბეჭდვაზე 8 კაპ.

თუ ხანგრძლივ მოითხოვს, რედაქციას გაუწყრება და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უარს ეტყვის ვერ დაუბრუნებს ეტყვის.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და ებრაულ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს ერთი შაური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველ-დღიური გაზეთი

„დროება“

პირველის ივნისიდამ წლის დასასრულამდინ ღირს ექვსი მანეთი.

ადრესი: Тифлисъ, редакція „Дроэба“.

ტელეგრამა

(საკუთარის კორრესპონდენტისაგან)

ბერლინი, 4 ივნისს. ახალ საზოგადოებისაგან დანდობილ პირებმა ინახულეს სინოდიდამ გამოგზავნილი რეაზოლი მირონცხებლისა და სთხოვენ ამუამდგომლობას, რომ ჩვენს სასულიერო სასწავლებლებში ქართულის ენის სწავლებას უფრო ჯეროვანი გზა მიეცეს, ვიდრე დღესა აქვს.

(„ხალხთა-მორის ტელეგრაფის სააგენტოსა“)

კეტერბურლი, 4 ივნისს. „მმართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია შინაგან საქმეთა განკარგულება, რომლის ძალითაც გაზ. „მინუტას“ გამოცემა სამის თვის ვადით მოისპობა.

პროფესორი პახმანი სენატორად დანიშნა.

ფინანსთ სამინისტროს ჟურნალში ბოდამ თვე დაიბეჭდება სახელმწიფო შემოსავლის ანგარიში.

ამ წლის 18 აგვისტოს იქნება ბუნების-მეცნიერთა და ექიმთა კრება ოდესაში.

კეტერბურლის ბირჟა, 4 ივნისს.

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი გამოცემისა	94	87
მეორესი	90	50½
მესამესი	90	50½
მეოთხესი	90	50
მეხუთესი	90	13
აღმოსავლეთის პირვ.	89	37½
აღმოსავლეთის მეორე	89	35
აღმოსავლეთის მესამე	89	37
ოქრო, ½ იმპერიალი	8	10

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

პირველი სესხის	216	17	
მეორე სესხის	210	50	

100 მანეთი ღირს:

ლონდონი	24	35	პენსი
ბამბურღი	207	75	ცენტი
პარიჟი	256	„	სანტიმი
ბერლინი	„	„	პფენიგი

„წერა-კითხვის საზოგადოებაზედ“

ტფილისი, 5 ივნისს.

სამი წელიწადია, რაც ეს „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ მოქმედობს ჩვენში.

იმ თავითვე დიდი იმედები გვქონდა ამ საზოგადოებაში. ჩვენში ასე ვიცით ხოლმე: ერთს რასმე საქმეს ავიჩემებთ სკოლას, თეატრს, სასოფლო ან სააზნაურო ბანკს, დეპოს ან სხვა ამგვარებს, და გვგონია, რომ ამან უნდა გვიხსნას ყოველ გაჭირებისაგანო, ამან უნდა დაადვას მალამო და განკურნოს ყოველი ჩვენი წყლულიო.

აქაც, ამ წერა-კითხვის საზოგადოების დაარსების დროსაც იგივე მოხდა: რამდენიმე ენერგიულის და ქვეყნისათვის გულ-შემატკივარ კაცის საშუალებით დაარსდა საზოგადოება; ჩვენს საადგილ-მამულო ბანკებმა და ხალხმაც იმ თავითვე დიდი თანაგრძნობა გამოუცხადეს. ყოველის მხრით დაიწყეს მოთხოვნა და ყვირილი, რომ—„აბა, აჰ, თქვენზეა ჩვენი ბედი და მომავალი დამოკიდებულიო; განათლებულები და სწავლულები თქვენა ხართ; ფული საკმაოთა გაქვთ;—გვიშველეთ, დაგიხსენით უმეცრებისაგანაო“!

საზოგადოებამ ანუ უკეთ ვსთქვათ, იმისაგან ამორჩეულმა ბამგეობამ, საკვირველია, ვერ გაამართლა ზოგიერთ ამ გვარ ხალხის მოლოდინი, ყოველდმკურნალ მალამოდ ვერ გარდიქცა ეს გამგეობა, უმეცრებისაგან ვერ დაგვიხსნა, სამს წელიწადში სწავლა-განათლება ვერ მოჰფინა ჩვენს ქვეყანაში.

ჩვენ არ ვამართლებთ ამ საზოგადოების ბამგეობას; არ ვამართლებთ იმიტომ, რომ სხვებზე ნაკლებ ჩვენ არ გვესმის, რომ ამ ბამგეობას ერთიორად უფრო მომეტებულის გაკეთება შეეძლო, უფრო მომეტებული ნაყოფის მოტანა შეეძლო იმ მაღალ და მართლა დიდებულ საქმისათვის, რომლის აღსასრულებლად ის ამორჩეული იყო.

მაგრამ აქაც, როგორც ყოველთვის ბრალდებულს გამგეობას თავის გასამართლებელი და დანაშაულის შემამსუბუქებელი, შემამცირებელი მიზეზი მოეპოვება. და პირველი ამ მიზეზთაგანი გახლავსთ ის რომ გამგეობამ თავიდამვე ათასი საჭიროება და მოთხოვნილება დაინახა ჩვენში; დაინახა, რომ სკოლებიც გვაკლდა, სახელმძღვანელოებიც სასწავლო მასალებიც არა გვქონდა, ძველი ხელთ-ნაწერი წიგნებიც იკარგებოდა, ჩვენს ძველს ლიტერატურის განძსაც გამოცემა ეჭირებოდა,—და, თავი სქართველების გულ-კეთილობით და გამოუანგარიშებლობით, განიზრახა ყველა ამ ნაკლულევანების შევსება, მოთხოვნილების დაკმაყოფილება. სკოლების გამართვასაც შეეუდგა, გახსნის სკოლების მატერიალურ შემწეობასაც სახელმძღვანელოების და ძველ ხელთ-ნაწერ წიგნების გამოცემასაც, ქართულ ბიბლიოთეკების შედგენასაც და სხვ. და სხვ. და, რაღა გასაკვირველია, რომ ოთხი და ხუთი საზამთროს ერთს ხელში დაჭერა ვერ მოახერხა და ახლა საქმე იქამდინ მიდის, რომ ლამის, ყველას დაჭერის მაგივრად, ყველა გაუცვიედეს ხელიდამ.

მეორე და უმთავრესი მიზეზი ხსენებულ საზოგადოების მკრთალ და სუსტ მოქმედებისა გახლავსთ იგივე გარემოება, რომელიც გუშინდელს ჩვენს წინა სტატიაში პატივცემულმა ბ-ნმა ნ. ხ—მა მოიხსენა: თვითონ ჩვენი საზოგადოების გულ-გრილობა და ცივად მოპყრობა ამ მძიმე საქმეში. თუ თავად-აზნაურთა სასწავლებლის დამფუძნებელი საზოგადოება წელიწადში ერთხელ მოდის შაივის ან თეთრის კენჭის ჩასაგდებად საზოგადო ყრილობაში; „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაზედ თითქმის არც ამის თქმა შეიძლება: არც ერთს წლიურ საზოგადო ყრილობაზედ ყრილობისათვის დანილს დღეს არ გამოცხადებული იმდენი წევრი საზოგადოების წევრთა, რამდენიც წესდებით საჭირო იყო (სამას თერთმეტ წევრში ორმოც-და-ათი კაცი ვერ მოდის), და ყოველთვის მეორე ჯერ ინიშნება ხოლმე ყრილობა, რომელთაც, წესდებით, რამდენიც უნდა მოვიდეს წევრი, ყრილობა მაინც კანონიერად ჩაითვლება.

„დროების“ ფელეტონი, 6 ივნისი.

(ბოლოდ)

(ბოლოდ)

(ბოლოდ)

თუ გვინდა, ამორჩეულ კაცებმა. ჩვენგან დაყენებულმა გამგეობამ რიგიანად შეასრულოს თავის საქმე; თუ გვინდა, რომ ამ გამგეობამ ენერგიულად, მხნეთ წაიყვანოს საქმე, უნდა თანაგრძნობა გამოუცხადოთ, და არა მარტო მშრალის სიტყვებით, უნდა დავეხმაროთ ამ საზოგადოებას თვის სასარგებლო მოქმედებაში, უნდა ხელი მოუმართოთ იქ, სადაც გამგეობას ხელი არ მისწვდება, სადაც იმას მოქმედებისათვის საშუალება აკლია, კაცები არა ჰყავს, ლონის-ძიება ეჭირება და სხვ.

თორემ გამდგარ ხართ განზე, თვითონ თქვენ ხელი გულზე დაგიკრეფიათ, მანდედამ, შორიდამ გამომდგარხართ და გაიძახით:—არ ვარგიხართ! რიგიანათ ვერ აკეთებთ საქმეს!—ეს საქმეს არ გააკეთებს, არც გამგეობას ეხმარება.

ამას გარდა არის კიდევ ერთი მიზეზი, რომელიც ამ საქმესაც და საზოგადოდ ყველა ჩვენ საზოგადო საქმეებს აბრკოლებს: ეს გახლავთ მომქმედ კაცების რიცხვის ნაკლებობა ჩვენში ჯერ-ჯერობით. ორი-სამი კაცი გვყავს, ყველგან, ყველა საზოგადო საქმეში, რასაც კი გამოვიწყებთ, რასაც კი დავიწყებთ, ყველგან ამ ორ-სამ კაცს ვაჩხირებთ ყველგან ამათ ვარჩევთ, ყველგან ამათი იმედი გვაქვს, ყველა საქმეს ამათ ვანდობთ. და რა გასაკვირველია, რომ ამ ორ-სამ კაცმა ყველაფერი ვერ გაგვიკეთონ, ყველგან თანასწორი შრომა და ერთგულება ვერ გამოიჩინონ?

მაგრამ, ვიმეორებთ, ყველა ამით ჩვენ არ გვინდა ახლანდელი გამგეობა და იმის ყველა მოქმედება გავამართლოთ. ამის მოქმედებაში ნაკლულევანობას ვხედავთ და დღევანდელს კრებაზედ არის დამოკიდებული ისეთი კაცები, ისეთი მცოდნე, ენერგიული და ჩვენი საზოგადო საქმისათვის გულ-შემატკივარი წევრები ამოარჩიონ, რომელთაც მართლა შეეძლოსთ ამ დიდი საქმის გაძღოლა და უფრო მომეტებულის გაკეთება, ვინემ ახლანდელი გამგეობა აკეთებდა.

დღიური

ჩვენ შევიტყეთ ერთი სასიამოვნო ამბავი: თ. სვ. ბ. ამილახვარს განუზრახავს დაარსება სოფელს ჭალას სამეურნეო და სახელოსნო სასწავლებლისა, რომელშიაც, რა საკვირველია, წერა-კითხვისა და ანგარიშის სწავლებაც იქნება. ამ საგნის თაობაზედ შეუდგენიათ განაჩენი რამდენსამე სოფელს: ჭალას, ქასპს, სამთავისს და სხვ., რომ წელიწადში თითო კომლმა სამი მანათი გადაიხადოს. ახლო-მახლო სოფლებიდამ შაგირდები სკოლაში ივლიან და შორეულ სოფლებიდამ კი პანსიონერებად იქნებიან. თითონ თ. ამილახვარს შეუწირავს ამ სკოლისათვის რვა დღის ჩინებული მიწა ჭალას შიგ შუა-სოფელში, ყოველ წელიწადს ოცის თუმნით დახმარება აღუთქვამს, აგრეთვე აღუთქვამს სკოლის სახლის აშენების დროს შემწეობა მასალით პირველს წელიწადებში მცოდნე ხელოსანისა და მებაღის მოწვევა თავის ხარჯით.

***

მოვაგონებთ ჩვენა მკითხველებს და განსაკუთრებით „საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წევრთ, რომ დღეს კვირას, დილის 10 საათზე საზაფხურო სკოლის სადგომში (სოლოლაკზე, ძველი ინსტიტუტის ქუჩა, ბაისოლოლოვის სახლი) დანიშნულია ამ საზოგადოების წლიური საზოგადო ყრილობა. მართალია, ეს მეორედ დანიშნული ყრილობაა და რამდენი წევრიც უნდა დაესწროს ამ ყრილობაზედ, კანონიერად ჩაითვლება, მაგრამ სასურველია მაინც, რომ რაც შეიძლება მომეტებული ხალხი მოვიდეს და მით დღევანდელზე უფრო მომეტებული მონაწილეობა მიიღოს ამ საზოგადო საქმეში.

***

მთავრობასთან შეკრულის პირობით, კავკასიის აქეთა მხრის რკინის გზის გამგეობას სამტრედიის სტანციიდამ ბათუმამდინ რკინის გზის გაყვანა ამ წლის გაქლილ 2 აპრილს უნდა შეესრულებინა. მაგრამ, რადგან სხვა-და-სხვა მიზეზის გამო, ხსენებულმა საზოგადოებამ ეს ვერ შეიძლო, ამის დროევება ითხოვა უმაღლესის მთავრობის წინაშე მომავალ 1883 წლის 6 იანვრამდინ. პეტერბურღის გაზეთები გვაცნობებენ ახლა, რომ ეს თხოვნა მინისტრთა კომიტეტს შეუწყნარებია.

***

ორი საქმე გამოიწყო უკვე ქალაქმა იმ 750,000 მან. რომელიც მთავრობის ნება-რთვით, ისესხა: საქალაქო სახლის გადაკეთება (ერევნის მაიდანზე) და მწაცაკანის ხიდის გაკეთება. პირველი ამათგანი არა გვგონია, რომ წელს შეასრულონ, მაგრამ მწაცაკანის ხიდი კი, როგორც დაგვარწმუნეს ამ ერთის თვის განმავლობაში სრულიად მზათ იქნებაო.

***

ამას წინათ გამოვაცხადეთ ჩვენს გაზეთში, რომ პირველს ამ თვეს გაიხსნა ჩვენს ქალაქში მიცვალებულის იმპერატორის ალექსანდრე მეორის სახელობის უპატრონო და ობოლ ყმაწვილებისათვის თავ-შესაფარი სახლი (პრიუტი). გაზ. „კავკაზში“ დაბეჭდილია ახლა ამ საქმის მოთავე კომისიის სეკრეტრის ბ. მოძალევსკის სიტყვა, რომელიც იმას თავ-შესაფარის კურთხევის დღეს წარმოუთქვამს. სიტყვიდამ, სხვათა შორის, ვტყობულობთ, რომ „თავ-შესაფარში“ ამ ჟამად სულ 25 ყმაწვილი მიულიათ, რომელთაგან 16 ობოლიაო და 9-ს მამა და პატრონი არ ჰყავთო. ამ ქველ საქმისათვის მოუგროვებიათ სულ 60,086 მან. და 4 კაპ. უფროსად დანიშულია პოდპოლკოვნიკის პაფომოვის ქვრივი.

***

გაზ. „ნოვოე ვრემიაში“ დაბეჭდილია შემდეგი ამბავი:

„შინაგან საქმეთა წარდგენილებით უმაღლესად დამტკიცებულია ხელმოწერის გამაძრავებელ ... ქართულს ... ქართველ ... სამღვთო წერილის სახელმძღვანელოების შესაძენად და ღარიბ ქართველ სკოლებში დასარიგებელად, და აგრეთვე ამ სახელმძღვანელოების გამოცემად შეწირული ფულები და შეწირველთა სია გაზ. „კავკაზში“ აგრეთვე ზოგიერთს სატიხტო ქალაქის გაზეთებში იქნება გამოცხადებული. ამ ჟამად ამ საქმისათვის შეწირეს: დიდმა მთავარ მიხეილ ნიკოლოზის-ძემ—50 მან., იმის უფროსმა ტოეს შვილებმა: დ. მ. გიორგიმ, ალექსანდრემ და სერგიმ—50 მან., დიდთა მთავართა: ვლადიმირ, სერგეი და პავლე ალექსანდრეს-ძეთ — თითოეულ—25 მან., დიდმა კნეინამ ალექსანდრა იოსების ასულმა—25 მან., დ. კნ. ეკატერინა მიხეილის ასულმა—25 მან., სულ 225 მან. 376 ს. ხელმძღვანელოს შესაძენად.“

არ ვიცით — ვისის თაოსნობით გროვდება ეს ფული ქართულ სახელმძღვანელოების გასავცელებლად, რატომ მარტო სამღვთო წერილს და არითმეტიკის სახელმძღვანელოებს ზრუნავენ მოთავენი და ან რა გასაკუთრებითი მიზანია ამ ხელის-მოწერაში? იქნება ხელის-მოწერის, მიზანი ის არის, რომ ბ-ნ ბ. დიდებულიძისაგან რუსულიდამ ნათარგმნი სამღვთო წერილისა და არითმეტიკული გამოცანების გავრცელება აქეთ მხედველობაში....

***

ბურიიდგან ამბავი ჩამოიტანეს, სწერენ გაზ. „შრომაში“, რომ ყოველად სამღვდელო ეპისკოპოსს ალექსანდრეს და თავ. ბრ. ბურიელს ბურიის სასულიერო სასწავლებლისათვის შეუწირავთ ოც-და-ათი ათას მანეთად დაფასებული ქვითკირის სახლი ეზოით.

***

ფოთიდამ გვატყობინებენ, რომ ამ თვის პირველს იქ მისულა ბათუმიდან „ელბრუსის“ ცეცხლის გემით დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს-ძე, დაუ-

---

გამოჩენილი ქიმიკოსი მოიპოვება აქ, რომელთაც არ ეჭაშნიკებათ ატომისტიური თეორია ქიმიაში და არ იღებენ მას; დარვინის თეორიამ ხომ სულ ვერ მოიდგა ჯერჯერობით აქ ფეხი, საზოგადობრივ წყობილობაზედ და სოციალურ ცვლილებაზედ თეორიები ხომ რაღა სათქმელია: ამ საუკუნის დასაწყისიდგანვე თითქმის „დღე ყოველ წამს ყოველი ახალ-ახალი იბადებოდა, მაგრამ არც ერთი მათგანი არ არის აღვიარებული ზოგადათ, მართლათ და დარჩნენ მიულებელნი.

მესმის, რომ აქ ყოველ ახალ აზრს მოელის სასტიკი ბრძოლა, სანამ ის გაიტკეპნიდეს გზას და მოიპოვებდეს ალაგს ცხოვრებაში; აქაური განვითარებული და მძლავრი ხალხი ადვილათ გადიტანს მაგას; მე აქ მესმის მათი შეკავებული და დაუნდობელი თავ-მიცემულობა. ამას მოითხოვს საღი ცხოვრება და მძლავრი ლიტერატურა. მაგრამ აქაც, როცა შენიშნავენ ახალი აზრის მოწინააღმდეგეს მარტო თავ-მოყვარეობას და კვიმატობას, მაშინვე მათ ზურგს უქცევენ და ახალი აზრისაკენ გადადიან. ჩვენი საქმე ხომ სულ სხვაა . . . . . ჩვენთვის ღმერთს მოუცია იგინი ჩვენდა უშრომოთ; ვიქონიოთ მაინც იმდენი გამჭრიახობა და მამაცობა, რომ ავხვეტოთ იგინი და გამოვიყენოთ. მაგრამ ეჰ! როგორ შეიძლება? რას ვეიქვიან მონური გადაღება სხვისი აზრებისა! ჩვენ ჩვენი თვით-მდგომარეობა გვაქვს; ჩვენი ისტორია გვქონია! და მის მაგიერად, რომ ჩვენ სხვისი კარგი აზრი ზომიერად და წინდახედვით მივიღოთ, კარგად დავღეჭოდ და უკიდურესობას ფრთები მოვკვეცოთ, ჩვენ ბუცა ხარივით, შიგ გულზედ დავეტაკებით თავათ დედა-აზრს, დავწეწავთ, გავქურდავთ, დავკილავთ და დიდის სიამპარტავნით ვამბობთ: „ჩვენ გახლავართ ბიჭები“. ეს მით უფრო საეჭვოა ჩვენთვის, რომ ჩვენმა მკითხველმა საზოგადოებამ, რომელსაც უნივერსიტეტი არ გაუთავებია და სხვა და სხვა ენები არ შეუსწავლია, არ იცის ნამდვილი ისტორია „ემანსიპაციისა“, არ იცის წარჩინებული კაცების, საუკეთესო მომხრეების და მოწინააღმდეგეების აზრი ამ საგანზედ, არა უწყის რასშია მისი სისუსტე და მისი ძლიერება. ეს ამ საუკუნის „დიადი აზრი“ (ემანსიპაცია), როგორც იტყოდა ჩვენი ლიტერატურის ვარსკვლავი ილია ჭავჭავაძე, გახდა ფეხის სათრევათ ამ უკანასკნელ ხანში თავათ რუსეთში (იქ ეხლა ეს მოვლენა ადვილი გასაგებია) და ჩვენში. მაგრამ აუხსნეს განა საკმაოდ ჩვენ საზოგადოებას ეს ემანსიპაცია, მისი დედა-აზრი, რომელიც მდგომარეობს დამოუკიდებელ შრომაში და ცოდნის შეძენის სურვილში?—უჩვენეს მას რომ ცოდნა და სწავლა ოჯახს არ დაარღვევს, სკოლების სიყვარულის ნიჭს არ სპობს და, ნაცვლად ამისა, პირველ მის გონიერულ აღზრდას დიდათ უწყობს ხელს და თვით ქალებს უმკვიდრებს უფრო მართებულს შეხედულებას ცხოვრებაზედ და, მაშასადამე, ქმარსაც უფრო მტკიცე და გაჭიერებულ მდგომარეობაში შეურყეველ „მეულლეს“ უქადის? აქეს ყველა ეს ახსნილი ჩვენს საზოგადოებას? არა. ძველი კი დარდიმანდულად ადარებს ემანსიპაციას „გრძელ კუდიან კაბებს შემოღების მოდას“,—მიმართავს ქალებს ამ ნაირი რჩევით:

„... ბამოირეკეთ თავიდამ ოცნებები ექიმობაზედ, პროფესორობაზედ და ეცადეთ შეიქმნეთ დროის შესაფერი(?) დედები. ამისათვის საჭიროა შეისწავლოთ თქვენი სამშობლოს წარსული და რომის ისტორია“.

...ოლიერებია ნაეთ-სადგურის მუშაო-
...ა და შემდეგ იქიდამ ამავე გემით,
...ოხუმისაკენ გაგზავნებულა.

* * *

შუაწინ ქალაქელ მოჭიდავემ
...ლდანელმა კიდევ ერთი მოჭიდავე
...ბერპლა. ჭიდაობის მოყვარეთ ჩა-
...ოყვანეს ბართლში განთქმული ფა-
...ანი რენელი და დიდუბეში გა-
...ართეს ჭიდაობა. ბლდანელმა სულის
...ბრუნებაც კი არ აცალა თავის მო-
...ლეპირეს: წრეში გამოსვლა, წაძ-
...ება, სარმის გამოკვრა და რენელის
...ეცემა ერთი იყო.

ამბობენ, დღეს იქვე, დიდუბეში,
...ალამოს 5 საათზე ამ ჩვენი უძლე�ე-
...ლი ბლდანელის დასაჭიდებლად ერთი
...ელიც უზარმაზარი თათარი ჩამოუყვა-
...ათო და ერთიც ვლადიკავკასელი
...ოლეზიც აპირებს იმასთან შებმასო.

როგორც გავიგონეთ, დღევანდელ
...ჭიდაობაზედ თ. დონდუკოვ-ქორსა-
...კოვს გამოუცხადებია დასწრების სურ-
...ელი.

* * *

შემდეგ ამბავს გვაცნობებენ ფო-
...ოდამ:

„დღეს, 1 ივნისს, საღამოს მეხუთე
...საათზე ორი ფრანცუზი წამოსულიყო
...ლუკით რეიდიდან, საცა დიდი გე-
...ბა დგება. უცებ ამოსვლიყოთ ქარი,
...ოლუკა გადაბრუნებიყო და ორივე
...ბერ მოეტანა; ერთი ჩაეძირა და
...ბრჩალიყო, აღარც მკვდარი ჩანს,
...ც ცოცხალი; მეორეს კი სიყოჩაღე
...ბარა: გამომძვრალიყო ფილუკის
...ბიდან და ფილუკაზე დამჯდარიყო
...ა შემდეგ ეს ფილუკა სული ფეხის
...ეთ გამოეტანა ნაპირში; აქედამ
...ამოიყვანეს გულ-გახეთქილი და რო-
...ორც იყო მოასულიერეს.“

...ს უკანასკნელი წინადადება ქეზე-
...ლია, ე. ი. ჩვენი ქალების აღზრდის
...ტორიაზედ დამყარება და
...ი „სიმშვენიერის მოსამსახურეთ“
...ბარება—ეს ისეთი მიდრეკილებაა,
...ელიც ქარაგმით გვიხატავს თავათ
...ი ლიტერატურის მიმართულებას;
...ოეტიური ანუ ესტეტიკური მი-
...თულებაა, ეხლანდელი დროის
...-ყოფაა და ძველის ცხოვრების
...თან შეუთვისებელ პირობებთან
...მოზიდეა. ესტეტიკა და პოეზია
...ბრის პურია, ხილი რამეა—მაძღარი
...ურის შემდეგ დაუფასებელი რამეა,
...რამ მრთელი და ჯანიანი გვამისა-
...ს საარსებო პურათ არ ჩაითვლე-
...კუმს მოშლის. ამ ნაირი მიმარ-
...ულებით შეიძლება აიხსნას ის გა-
...ება, რომ ქეზელს და მის მსგავ-
...ს შეუძლიათ გამოინადიროონ ხოლ-
...ომძღებზედ და წამოისროლონ სიტ-
...ა, რომელნიც უფრო შეეხამებიან

მოგეყავს პირი იმ თხოვნისა, რო-
მელიც საგარეჯოს საზოგადოებამ მი-
ართვა თ. დონდუკოვ-ქორსაკოვს ივ-
რის ხეობაში გამოვლის დროს:

მათს ბრწყინვალებას

ქავკასიის მთავარ-მართველს გენე-
რალ-ადიუტანტის თავადს დონდუკოვ-
ქორსაკოვს.

სოფლის საგარეჯოს მონდო-
ბილობით, იმავე სოფლის მცხო-
ვრებთა: მამასახლისის ზიორგი
ჭურხულისა და ნიკოლოზ ხო-
ხობოვის

თხოვნა.

სოფლის საგარეჯოს მცხოვრებთა, თვისის ყრილობის განაჩენით, რომელსაც ამასთანავე დაურთობთ, მოგვანდეს უმდაბლესად მოგახსენოთ ჩვენი სოფლის საჭიროებანი და უუმორჩილესად ვითხოვოთ თქვენი ბრწყინვალებისაგან შვება და მფარველობა. ეს საჭიროებანი ეგოდენ დიდ და საგრძნობელ არიან, იმდენად აბრკოლებენ ჩვენი სოფლის ცხოვრებას, რომ იძულებულსა ჰხდიან მას მოჰმართოს თქვენს ბრწყინვალებას შემდეგის თხოვნითა:

ა) მომრიგებელი სასამართლო, რომელსაც ჩვენი სოფელი ექვემდებარება, ტფილისის მაზრისა, იმყოფება ქ. ტფილისში და დაშორებულია ჩვენგან თითქმის ორმოც-და-ათ ვერსზედ. ასეთს დაშორებას სასამართლოსას მრავალი ნება მოაქვს ჩვენი სოფლის ცხოვრებისათვის: ჩვენს მოსახლეობას, ვითარცა მიწის მუშაკსა, საზრდო საცხოვრებლად მხოლოდ საკუთარი თავის შრომა აქვს; ეს შრომა ხშირად შესწყდება ხოლმე სასამართლოს დაშორებით,—და ერთსა და იმავე საქმეზედ ბევრჯელ სამჯერა და ოთხჯერ და ზოგჯერ მეტადაც წასვლით; და რადგან თითო წასვლას სასამართლოში ოთხი-ხუთი დღე უნდება, ამიტომ მარტო ერთი საქმე გვაკარგვინებს ათი-ოცი დღის შრომას და რაც გზაზედ და ქალაქში ცხოვრებას ხარჯი უნდა, ის კიდევ სხვა არის. ამას გარდა კიდევ, რადგან ბევრს ჩვენგანს ორი და სამი, ხან მეტი საქმე გაუჩნდება ხოლმე სასამართლოში, ამიტომ მომეტებულ ნაწილს ჩვენი მოსახლეობისა სასამართლოში სიარულით, თავისა და სხვის საქმეზედ დაბარებითა, ეკარგება წელიწადში ოცი-ორმოცი დღის შრომა და ცალკე კიდევ ხარჯი მოსდის. ამ გარემოების მიზეზით ბევრი ჩვენგანი ერიდება სასამართლოს, რაც უნდა ეჭირებოდეს, რადგან მოცდენა ვერ შეუძლიან და ხარჯის ღონე არა აქვს. ამას გარდა კიდევ, ბევრნი საქმიდამ მოცდენასა და ხარჯს რომ ვერიდებით, ადვოკატების ხელში ვცვივით და ამით კიდევ უფრო მეტი ზარალი და ხარჯი მოგვდის.

ბ) ჩვენი საცხოვრებელი მიწის შრომაა და იმ შრომის ნაწარმოები მიწაც და მამულიც კარგი გვაქვს და შრომაც შეგვიძლიან, მაგრამ სილარიბე კი მაინც გვაწუხებს, რადგან ჩვენ წარმოებას გასავალი არა აქვს, ბაზრამდის ვერ მიდის, ქალაქამდის, მდ. იორზედ ხიდის უქონლობით. მიწის ნაწარმოები სწორედ მაშინ მოიწევს ხოლმე, როდესაც იორი ადიდებულია და შიგ გასელა სახიფათოა. ამ მიზეზით რაც ზაფხულის მოსავალი გვაქვს, სულ ამოდ ჩაივლის ხოლმე და ჩვენთვის არაფერი სარგებლობა არ მოაქვს, ლპება და ფუჭდება. ამა მიზეზით თვითონ მიწის წარმოებაც მცირეა ჩვენში და ყურ-მიგდებილი,—იმიტომ კი არა, რომ არ გვესმის, ან გვიჭირს სარგებლობა, არამედ იმიტომ, რომ, რაც უნდა მოვიყვანოთ, გადასაყრელი გაგვიხდება და შრომა ტყუილად ჩაგვიელის ხოლმე. ამას გარდა ხიდის უქონლობით იორი მთელი ზაფხულის განმავლობაში ბევრს საქონელსა და ხალხსა ჰლუპავს.

გ) ჩვენს წარმოებას, ჩვენს შრომას ძალიან უშლის ხელს აგრეთვე თათრების ყაჩაღობა. ეს ყაჩაღები არიან ორი ჩვენი მახლობელი თათრის სოფლიდგან ზემო და ქვემო მუღანლოდგან. ამ სოფლების მცხოვრებთა ხელობა და ცხოვრების ღონე მხოლოდ ყაჩაღობაა. ამიტ-გამო-ამათ მეზობლობას დიდი ენება მოაქვს მთელი ამ ჩვენი ხეობისათვის და ჩვენთვისაც. მინდორში საქონელი თავისუფლად ვერ დაგვიყენებია, სამუშაოდ ვერ გავსულვართ, უიმისოდ, რომ არა მოგეტაცონ-რა. მაგრამ მარტო მოტაცებით არა თავდება საქმე, იმას მოჰყვება ხოლმე ყაჩაღების უკან დევნა, ხარჯი და ხშირად ხალხიც იხოცება იმათგან. ამ გარემოებას ჩვენ წარმოებაზედ მავნებელი გავლენა აქვს: უკანასკნელ მუშა საქონელსა გვტაცებენ და მუშაობის ღონეს გვაცლიან ხელიდგან. ეს აბრკოლებს ჩვენ მაწარმოებლობას, ცხოვრების ღონეს გვაცლის და არ გვიშვებს, რომ ცხოვრებაში წინ წავიდეთ.

დ). უწინ საზაფხულო საძოვარი ადგილები (მთა) ლესნიჩის გამგეობის ქვეშე იყო და იმისგან სარგებლობდა სოფლების მოსახლეობა იმ საძოვრითა. ახლა კი, ეს ექვსი-შვიდი წელიწადია, რაც ეს საძოვრები გაიცემიან იჯარით და ჩვენ იჯარადრებისაგან ესარგებლობთ. ეს ახალი რიგი საძოვრის სარგებლობისა ძალიან შემავიწროებელია ჩვენი. ლესნიჩობის დროს რაც ორი შაური იყო (სულზედ), თან-და-თან იმატა და ეხლა სამი და ოთხი აბაზის ძლივა მოგვიხდება ხოლმე ეს იმ მიზეზითა, რომ იჯარადარი ყოველთვის ცდილობს ერთი ხუთად აიღოს თავის იჯარის გადასახადი: რაშიაც ხაზინას ორ შაურს აძლევს, იმაში ის ჩვენ სამ, ოთხს აბაზს და ხან მანეთსაც გვართმევს. ამ გვარად ხაზინაც მეტს ვერას სარგებლობს და ჩვენ კი დიდ შევიწროებაში ვერთ. ასეთი შევიწროება ისე საგრძნობელია ჩვენთვის, რომ უმჯობესი იქნება საქონლის მოშენებაზედ სულ ხელი ავიღოთ.

ე) ჩვენი ვენახების ჭაჭა-თხლე უწინ დიდს სარგებლობას აძლევდა ჩვენს მოსახლეობას, რადგან იქიდგან არაყს ჰხდიდნენ და როგორც უჯო-

---

მუქიკს ვინემ ლიტერატორს. ერთის სიტყვით, ჩვენ ალორძინების დასაწყისშივე შეგვეყოლია ჭირი რამე, რომელიც კარგს არას დაგვაყრის, თუ მალე არ მოვუძებნით მის შესაფერ წამალს...

მე. როგორც ვხედავ, შენ ძმაო, მარცხენა ფეხზედ ამდგარხარ დღეს. შავი აზრებით მოცულხარ. რა საჭიროა ლიტერატურის აქ ჩატნევა? ვინ არ იცის, რომ ჩვენ, ყველა ადამიანი ცოდვილები ვართ და მაშასადამე შეუცდომელათ ვერაფერს გავაკეთებთ. დედის მუცლიდგან პირ-და-პირ ფეხს ვერ ავიდგამთ და გადუხვეველათ, მაგარის ფეხით ვერ ვივლით. დროზე გავასწორებთ ჩვენ შეცდომილებას. ქეზელმა ხომ სულ წინაალმდეგი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზედ, ვინემ შენზედ. მე იმან მასიამოვნა თავისი სიმწვანით, ჭყინტაობით*). მას ცა ქუდათ მიაჩნია და დედა-მიწა ქალამნათა. ის დარდიმანდობს, ტიკტიკობს, ყოყოჩობს, როგორც ეს შეეხამება ჭაბუკს. ყველასთვის სასიამოვნოა დარდიმანდი ჭაბუკის ცქერა, სანამ ის არ გადააჭარბებს და საენოს რამეს არ იქმს. ვნებას რას მოიტანს ქეზელი? ბანა საზოგადოება ჩვენი ვერ შენიშნავს, რომ მას ყმაწვილივით არეულ-დარეული კილო აქვს? რომ ერთ ადგილს ქალების მოძრაობას მოდას აწერს და მეორე ადგილს ამბობს: „...აიხსნება არა მოდით, როგორაც ურცხვის გამბედავობით ღაღადებენ ჭკუა-მოკლე ყმაწვილები!“ ვერ მიხვდება განა ჩვენი საზოგადოება, რომ ეს კითხვა (ემანსიპაცია) იყო გაზვიადებული არა შვიდ-კაპეიკიანი მწერლებისაგან, არამედ იმ ლიტერატურის „ბურჯებისაგან“, რომელნიც ამ ოცის წლის წინეთ მაგრათ იყვნენ ჩასმულნი რუსეთის ლიტერატურის ნიადაგში? ბოლოს ისიც ხომ თავათ აღიარებს, რომ მას აზრათაც არ მოსვლია ქალების განათლებასთან შემკლავება!? მაშ დეე იხალისოს, სანამ მწარეთ არ შეჯახებია ცხოვრებას; მერეც მოესწრება დადუმებას. ნუ დაეშურებთ ამ რჩევას მისთვის:

ეტიკეტიკე ენითა უსუსურით,
ეტიკეტიკე, ვიდრე ყმა დაგსარის,
ვიდრემდის სარ, ურმარ, თავისუფალი,
არ გიცვნია სოფელი მომღერალი!.

ჟ. დარჯველი.

28 (30) მაისი.
ბარიყი.

*) ჭყინტა სვანურათ ბავშვს ჰქვია.

ბდათ იხმარებდნენ. ამ ჭაჭა-თხლეს უფრო დიდი მნიშვნელობა მიეცა, მეტადრე საწყალი კაცისთვის, მას აქვთ რაც ყურძენს ავად-მყოფობა დაემართა და ღვინო სულ ნაკლებად გამოდის. ახლა არაყი შეიქნა ყველა ჩვენი მოსახლისთვის წამალიც, სტუმარის პატივის ცემაც, მუშის გაძღოლაც. მაგრამ ამ არაყს კი მოკლებულია, რადგან ნება არა აქვს თავისუფლად გამოხადოს, უპატენტოთ, და ერთიორი ქვაბისთვის პატენტის აღება კი ძალიან საზარალოა და საავიადგლახო. ამიტომ, რაც უწინ ჩვენი ცხოვრების შეღავათს შეადგენდა, ჭირში და ლხინში გამოსაყენებელს მასალას, ეხლა იმ მასალას, შრომით მოყვანილს, ვყრით, როგორც უსაჭირო, უსარგებლო ნაგავს.

მოგახსენებთ რა მოწიწებით ამ ჩვენსა და ჩვენთა მარწმუნებელთა გაჭირებას, უუმდაბლესად მოგმართავთ, თქვენო ბრწყინვალებავ, უუმორჩილესის თხოვნითა, რათა კეთილინებოთ და მისცეთ შვება ჩვენს გაჭირვებულ ცხოვრებას შემდეგი წყალობითა:

ა) დაკვიწესდეს სოფ. საგარეჯოში, რადგან ერცელი და ამ ხეობაში შუა გული სოფელია, მომრიგებელი სასამართლო. ბ). ბაგვიკეთდეს მდ. ორზედ, სართაჭალის გასაველში, ხიდი, რომლის გაკეთებაზედ ვკისრულობთ ყველა შრომას, რაც შეგვეძლება და მოვახერხებთ; გ., დაგვიფარეთ თათრების ყაჩაღობისაგან;

დ., საძოვარი მთა იჯარადარს ჩამოერთოს და ლესნიჩის გამგეობაშივე გადავიდეს და ანუ ის გადასახადი, რაც იჯარადრისაგანა აქვს ხაზინას—ჩვენ და ჩვენ მეზობელს სოფლებს გამოერთოს სხვა რაიმე რიგად, და

ე) მოგვეცეს ნება ჩვენი ჭაჭათხლე არ გადავყაროთ, არამედ თავისუფლად გამოვხადოთ არაყი, უპატენტოდ, და ის შემოსავალი, რაც ხაზინას აქვს ჩვენი სოფლიდგან არყის პატენტითა-გარდაგვხდეს მთელს სოფელს სხვა რაიმე რიგად.

ამა წყალობითა, თქვენო ბრწყინვალებავ, ჩვენი გიჭირებული ცხოვრება გაგვიადვილდება, ჩვენი წარმოება გავრცელდება, ჩვენი შრომა უფრო სარგებლობას მოიტანს, რისთვისაც მარადის თქვენი დღე-გრძელობის მლოცველნი ვიქნებით დიდ-პატარამდის.

ნამდვილზედ ხელ მოწერილია:
მამასახლი გიორგი ქურსული,
ნიკოლოზ ხოსობოვი.

15 მაისს 1882 წ.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

—

ᲢᲤ. ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ამ 6-ს ივნისს 1882 წ. 10 საათზე დილით, ტფილისის ქალაქის რჩევის ზალაში, დანიშნულია საზოგადო **ᲙᲠᲔᲑᲐ ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲕᲐᲭᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡᲐ** ამოსარჩევად ობლების სამზრუნველო სასამართლო წევრისა და იმის კანდიდატისა, აგრეთვე იქნება გარჩევა სხვა-და-სხვა საქმეთა შესახებ ვაჭართა საზოგადოებისა.

გაცნობებთ რა ამას ბ.ბ. ტფილისის ვაჭრებს და იმ პირთ, რომელთაც აქვთ უფლება ამორჩევებში მონაწილეობის მიღებისა, სავაჭრო მმართველება (კუპეჩესკაია უპრავა) უმორჩილესად სთხოვს იმათ, დანიშნულს დროზედ მობრძანდნენ ქალაქის რჩევის ზალაში.

გაბრთხილებთ ამასთანავე, რომ ვინც მოვალეა დესწრონენ საზოგადო ყრილობას და არ მოვლენ, მათ გარდახდებათ ჯარიმა, რომელიც დადგენილია 1436 მუხლით „დასჯათა დებულობის“ ძალით. (2—2)

ᲐᲠᲬᲠᲣᲜᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲨᲘ

ᲓᲦᲔᲡ ᲙᲕᲘᲠᲐᲡ, 6 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ

ქართული სცენის მოყვარულთაგან წარმოდგენილი იქნება

ქეთევ. ანდრონიკოვისა ᲓᲐ Ჯ. ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲘᲫᲘᲡ

სასარგებლოდ

I

ᲓᲘᲐᲜᲐ

კომედ. 3 მოქ. თხზ. თ. ᲐᲚ. ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡᲐ

II

ᲚᲔᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ

ლეკურს ითამაშებენ ქ. ანდრონიკოვისა და ᲐᲠᲩᲘᲚ მ. ᲒᲐᲛᲧᲠᲔᲚᲘᲫᲔ.

ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ 8 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ.

ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲚᲘᲣᲩᲐᲠᲔᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲖᲐᲒᲣᲛᲔᲜᲐᲒᲝᲚᲘ (ᲐᲓᲠᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲢᲔᲠ-ᲐᲙᲝᲤᲝᲕᲘᲡᲐ) ამ თავითვე იღებს ყმაწვილებს, რომელთაც არ იციან ან თუ იციან ცოტათ რუსული ენა, ამ ენაზედ ვარჯიშობისათვის და პირველ დაწყებათი სწავლისათვისაც.

ᲐᲓᲠᲔᲡᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡᲐ: სოლოლაკი, ბადის ქუჩა № 38 (6—5)

ვაძლევ დღიურად და თვეობით იაფათ მებლირეობენ ოთახებს, სახელად

„ᲚᲘᲕᲐᲓᲘᲐ“

ᲒᲝᲚᲝᲕᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲡᲞᲔᲥᲢᲖᲔᲓ.

(20—6)

ᲦᲕᲘᲜᲝ!!!!!

ნამდვილი კახური ასალად მივიღე ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲝᲠᲢᲘᲡᲐ, ვედრა 2 მანეთ და 40 კაპ.—12 მანეთამდინ, ბოთლი 20 კაპ.—1 მანეთამდინ.

ისყიდება ᲞᲐᲧᲐᲠᲜᲘ კამანდის პირ-და-პირ წინამძღვაროვის სარდაფში.

ქახელი ს. Ი. ᲥᲣᲠᲓᲦᲔᲚᲝᲕᲘ.

(3—2)

ბოლგარულ-ინგლისური **ᲒᲣᲗᲐᲜᲘᲡᲒᲝᲜᲕᲐᲠᲓᲘᲡᲐ** მსურველთ შეუძლიანთ გამოიწერონ **Თ. Ა. ᲞᲔᲙᲘᲜᲝᲕᲘᲡᲐᲒᲐᲜ**, რომელიც არის აგენტი ბ. გოვარდისა.

კანტორა ᲞᲔᲢᲘᲜᲝᲕᲘᲡᲐ არის ტფილისის ქალაქში, არწრუნის სახლში, დვორცოვის ქუჩაში. (6—6)

„ᲕᲝᲡᲢᲝᲩᲝᲔ ᲝᲑᲝᲖᲠᲬᲘᲔ“

Еженедѣльная газета безъ предварительной ценз. под ред. Н. М. Ядринцева.

Изданіе посвященное жизни провинціи окраинамъ.

Выходитъ съ 1-го апрѣля, цѣна 8 р.

Содержаніе №№ 1, 2, и 3: Востокъ и Западъ В. П. Васильева.—Колонизаціонный вопросъ на окраинахъ.—Что такое Поземельная Община С. Я. Капустина.—По поводу 300-лѣтія Сибири Е. В. Максимова.—Центръ и окраины С.—Русскій Востокъ и его будущность.—Провинціальный вопросъ и переселенія.—Жолтый вопросъ въ Америкѣ и въ Сибири.—Значеніе области въ русской жизни.—Беллетристика: Странникъ на золотомъ озерѣ Ядринцева.—Гонимые (изъ сибирскихъ нравов) Н. И. Наимова.—Воспоминованія и грезы восточнаго фельетониста.—Послѣднія новости по переселенческому вопросу.—Сибирскіе вопросы и реформы.—Хроника.—Политическіе обзоры и вѣсти съ востока.—Обзоръ общественной и провинціальной жизни.—Корреспонденціи изъ Тобольска, Томска, изъ Барнаула, съ Алтая и т. д.—Хроника жизни за недѣлю.—Критика и библіографія.—Биржевыя извѣстія.—Объявленія.

Подписка въ конторѣ редакціи, Ивановская, д. 13, кв. 18.

Въ Тифлисѣ подписка принимается въ газетномъ агентствѣ В. ШАВЕРДОВА. (5—4)

ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲐ, ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ-ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲜᲔᲑᲨᲘ

ᲘᲒᲜᲐᲢᲘ-ᲐᲠᲐᲙᲘᲜᲘ

ᲙᲠᲘᲚᲝᲕᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐ ᲡᲘᲑᲠᲫᲜᲔ-ᲡᲘᲪᲠᲣᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲒᲐᲚᲔᲥᲘᲚᲘ **Თ. Რ. ᲔᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ**

ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲒᲠ. ᲩᲘᲜᲘᲐᲜᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲜᲔᲑᲨᲘ

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲘ

შედგენილი
Ჯ. ᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ
გამოცემა
ᲖᲐᲥ. ᲬᲘᲬᲘᲜᲐᲫᲘᲡᲐᲒᲐᲜ
ᲤᲐᲡᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲠᲑᲐᲖᲘ.

ᲢᲐᲥᲪᲘᲡ

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელ[illegible] იყიდებიან თფილისის ბაზრებში, [illegible] ნებში და დატარებით 1 ივნისი[illegible] 15 ივნისამდის.

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲮᲕᲐᲠᲘ ᲞᲣᲠᲘ: ᲮᲝᲠᲑᲚᲘᲡ ᲤᲥᲔᲚ.

პირველის ხარისხის	—1 გირ.	[illegible]
მეორის „	—1 გირ.	[illegible]
მესამის „	—1 გირ.	—

ᲘᲛᲐᲕᲔ ᲤᲥᲔᲚ. ᲗᲝᲠᲜᲔᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲮᲕ[illegible]

პირველის ხარისხის	—1 გირ.	[illegible]
მეორის „	—1 გირ.	[illegible]

ᲯᲕᲐᲠᲘᲡ-ᲛᲐᲛᲘᲡ ᲞᲣᲠᲘ:

პირველ ხარის. ლავაში	1 გირ.	[illegible]
მეორის „ „	—1 გირ.	[illegible]
მესამის „ „	—1 გირ.	[illegible]

ᲫᲠᲝᲮᲘᲡ ᲮᲝᲠᲪᲘ:

პირველის ხარისხის	—1 გირ.	1[illegible]
მეორის „	—1 გირ.	[illegible]
სუკი — —	—1 გირ.	1[illegible]
ᲪᲮᲕᲠᲘᲡ ᲮᲝᲠᲪᲘ	—1 გირ.	1[illegible]

ᲚᲝᲠᲘᲡ ᲮᲝᲠᲪᲘ:

პირველი ხარისხის	—1 გირ.	—
მეორის „	—1 გირ.	—

ᲙᲝᲚᲮᲘᲓᲐ

ᲐᲛᲐ 1882 ᲬᲚᲘᲡ 1 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲛ

Ჯ. ᲤᲝᲚᲗᲘᲜᲘ

მიხაილოვის ქუჩაზე, ბულვარის პირ-და-პირ, ხუმარაძის სახლის ზემო ეტაჟ[illegible]
ადრინდელი პატრონი **ᲐᲚᲥᲝᲚᲘ ᲨᲐᲙᲝᲡ ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝᲡᲘᲡ**

ᲐᲡᲝᲑᲐᲛᲔ ᲭᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝᲡ

სასტუმრო ყველაფრით შემკობილი და მოწყობილი იქნება როგორც დიდ-კაცებისათვის, აგრეთვე საშუალ წოდების მოგზაურთათვის. ᲨᲝᲕᲚᲝᲜᲘᲡ-ᲫᲘᲔᲑᲐ იქნება მიღებული სასტუმროის სისუფთავისა და სიფაქიზეთვის.

იმედი მაქვს, როგორც ადრე, პატივცემული საზოგადოება ახლაც [illegible] დააგდებს უყურადღებოდ ჩემს სასტუმროს.

(6—4) **ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝᲡ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲮᲘ ᲐᲜᲢᲝᲜ ᲐᲮᲝᲑᲐᲫᲔ.**

„ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ“ ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝ

ადრინდელი

„ᲚᲘᲕᲐᲓᲘᲐ“

ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲘ ᲔᲓ. ᲙᲣᲜᲔᲨᲔᲚ

ᲝᲗᲐᲮᲔᲑᲘ 80 ᲙᲐᲞᲔᲘᲙᲘᲓᲐᲛ 3 ᲛᲐᲜᲔᲗᲐᲛᲓᲘᲜ.

ᲡᲐᲓᲘᲚᲔᲑᲘ, 1 ᲛᲐᲜ.: ᲐᲠᲐᲧᲘ, ᲡᲐᲣᲖᲛᲔ, 3 ᲗᲐᲕᲘ ᲡᲐᲓᲘᲚᲘ, 1/2 ᲑᲝᲗᲚᲘ [illegible]ᲜᲝ ᲓᲐ ᲧᲐᲕᲐ. ᲝᲗᲮ-ᲐᲑᲐᲖᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲓᲘᲚᲘ: ᲘᲒᲘᲕᲔ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲣᲦᲕᲘᲜᲝᲓ ᲓᲐ ᲣᲧᲣᲠ[illegible]

ᲡᲐᲓᲘᲚᲔᲑᲘ ᲞᲝᲠᲪᲘᲔᲑᲐᲗᲐᲪ

ᲑᲘᲚᲚᲘᲐᲠᲓᲘ, ᲐᲛ ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝᲨᲘᲕᲔ ᲙᲚᲣᲑᲘᲐ. (5—5)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 4 Іюня 1882 г. *Типографія Меликова* ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ Ს. ᲛᲔᲚᲘᲥᲝᲕᲘ. ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ Ს. ᲛᲔᲚᲘᲥᲝᲕᲘ.